ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება სამაგისტრო პროგრამა

სივრცე და ადამიანი: ციხის არქიტექტურის ტრანსფორმაცია

სამაგისტრო ნაშრომი

წარმოდგენილია არქიტექტურისა და დიზაინის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ავტორი: საბა გოგიშვილი

ხელმძღვანელი: გიორგი კიღურაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

თბილისი, 2025 წ.

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლბიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაგისტრანტი: საბა გოგიშვილი

30.06.2025

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს ციხის არქიტექტურას, როგორც ადამიანის ფსიქოლოგიასა და რეაბილიტაციაზე ზემოქმედების სივრცობრივ იარაღს. კვლევის მიზანია ციხის გარემოსა და პატიმრის ქცევით ტრანსფორმაციას შორის არსებული კავშირის გამოვლენა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბიოფილიურ დიზაინს, ფერებისა და მასალების ფსიქოლოგიურ ეფექტს, სივრცის ღიაობას და ჰუმანურ გეგმარებას. გამოყენებული მეთოდოლოგია აერთიანებს ლიტერატურულ ანალიზს, დოკუმენტურ მასალებს, ინტერვიუს და არქიტექტურულ მოდელებზე დაკვირვებას.

კვლევა ეფუძნება პენიტენციურ სისტემაში მომუშავე პირის ინტერვიუს, თანამედროვე ციხეების დიზაინის ანალიზს (Halden, Bastøy, Leoben) და ესპანეთის ანდალუსიის რეგიონში განსაზღვრულ არქიტექტურულ პროექტს, რომელიც ასახავს ჰუმანური და ინტეგრირებული ციხის იდეას. არქიტექტურული კონცეფცია გულისხმობს ღია, ბუნებასთან დაკავშირებულ სივრცეებს, სადაც პატიმრები იღებენ შესაძლებლობას თვითგანვითარებისა და სოციალური რეინტეგრაციისთვის.

ნაშრომი ასკვნის, რომ ციხის დიზაინი უნდა განიხილებოდეს არა როგორც იზოლაციის საშუალება, არამედ როგორც აღდგენისა და ცვლილების არქიტექტურული შესაძლებლობა. შესაბამისად, სივრცის მეშვეობით შესაძლებელია ისეთი რეაბილიტაციური გარემოს შექმნა, რომელიც პატიმრის ქცევაზე და შემდგომ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე პოზიტიურად აისახება.